პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 228 (7789)
29 ნოემბერი
ხუთშაბათი,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ვარდისფერ იმედს მიღმა

თბილისი. სპორტის სასახლე. 27 ნოემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 93:82 (49:37).

„დინამო“: კაპუსტინი (22), ბოროდაჩოვი (18), ხანძე (2), დარსაძე (13), ტიუბინი (15), დერიუგინი (19), მილოვიდოვი (2), ლიპარტელიანი (2).

„სპარტაკი“: პავლოვი (7), ხარჩენკოვი (8), კუზნეცოვი (22), გრიშაევი (23), ჟარკოვი (8), კაპრილენკო (10), გორინი (4), კოროლიოვი, ავერიანოვი.

მსაჯები: იოზას ხტორპირშტისი (იონავა) და ალექსანდრ ფლიკი (კიშინიოვი).

დუბლიორები — 87:84 (47:44).

ლენინგრადის „სპარტაკი“ ფინალში, ესე იგი, რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. თბილისის „დინამოსაც“, რა თქმა უნდა, აქეთკენ უჭირავს თვალი და, რა გასაკვირია, რომ მათი შეხვედრა დაძაბული გამომდგარიყო— ფინალისტებს ხომ მთლად ერთმანეთთან მოპოვებული ქულები მიჰყვებათ თან.

მატჩი ასეც დაიწყო და კარგა ხანს ასეც გაგრძელდა — საინტერესოდ, დაძაბულად და საკმაოდ ნერვიულადაც. ორივე მეტოქე ერთობ ყურადღებით თამაშობს დაცვაში. პირველ წუთებში ლენინგრადელებმა მაინც მოახერხეს ერთგვარი უპირატესობის მოპოვება: მეხუთე წუთისთვის 4 ქულით დაწინაურდნენ, კიდევ ორი წუთის შემდეგ სხვაობამ 6 ქულა შეადგინა, მეთორმეტე წუთისთვის „სპარტაკი“ უკვე 8 ქულით იყო წინ. ტიუბინის მოედანზე შემოსვლამ მატჩის მსვლელობას სულ სხვა მიმართულება მისცა. იმატა ტემპმა, თბილისელთა შეტევები სულ უფრო ხშირად მთავრდება ზუსტი ტყორცნებით. ოთხ წუთში ანგარიში გათანაბრდა — 35:35. ამის შემდეგ ტაიმის ბოლომდე „დინამოს“ შეტევების შეჩერება შეუძლებელი გახდა, საქმეს ვერც კონდრაშინის ტაქტიკურმა მანევრებმა უშველა და ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა 12-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს — 49:37. 12 ქულა პირველ ტაიმში ერთობ სასიამოვნო სიურპრიზი გამოდგა თბილისელი მაყურებლისთვის, რომელიც მაინცდამაინც არ არის განებივრებული ასეთი ენერგიული დასაწყისით.

მეორე ტაიმში თამაში წინა მატჩის სცენარით წარიმართა. „დინამო“ ძალების დაუძაბავად აკავებს მეტოქეს 15-ქულიანი დისტანციით და მშვიდად მიჰყავს შეხვედრა ძალზე საჭირო გამარჯვებამდე. მასპინძლებმა მხოლოდ უკანასკნელ წამებზე მისცეს საშუალება მეტოქეს 11 ქულამდე შეემცირებინა სხვაობა.

თბილისის „დინამომ“ ტურის მეორე მატჩიც დამაჯერებლად მოიგო, ამჯერად უფრო ძლიერ გუნდთან და ამით კიდევ უფრო განამტკიცა აზრი, რომ მისი სახით საბჭოთა კალათბურთის ლიდერებს საკმაოდ ღირსეული მეტოქე გაუჩნდათ. ამ აზრის მართებულობაში ერთი საინტერესო გარემოებაც გვარწმუნებს: ახლა, განსაკუთრებით კი სარეცენზიო მატჩში, მოპოვებული ქულები ძირითადი ხუთეულის თითოეულ წევრზე ერთობ თანაბრად ნაწილდება, რაც, უწინარეს ყოვლისა, შეტევების ანდა კომბინაციების ნაირფეროვნებაზე, გუნდის მდიდარ ტაქტიკურ შესაძლებლობაზე მეტყველებს.

ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის, შეიძლება ითქვას, საკმაოდ მაღალი კლასის ფონზე განსაკუთრებით კონტრასტულად, ერთობ ფერმკრთალად გამოიყურება როგორც გუნდის სათადარიგო სკამი, ისე საერთოდ ქართული კალათბურთის რეზერვი. ამას ყველა ამჩნევს, ამაზე ბევრს ვლაპარაკობთ და ვწერთ კიდეც, მაგრამ რა... იმ გამრუდებულ ტენდენციას, რომ კარგი კალათბურთელების აღზრდის მაგივრად მეტწილად მოზარდთა გუნდების სპორტული შედეგებით ვართ დაინტერესებული და ძირითადად ამით ვკმაყოფილდებით, არა და არ დაადგა საშველი. ალბათ დადგა დრო (უფრო სწორად, საერთოდ ასე უნდა ყოფილიყო) გადავხედოთ ან შევცვალოთ მწვრთნელთა მუშაობის შეფასების კრიტერიუმი. ძალიან კარგია მოზარდთა ტურნირების მოგება, ამას არც არავინ უარყოფს და არც არავინ კრძალავს, მაგრამ საბოლოო ანგარიშით ქართულ კალათბურთს სახელს ისევ თბილისის „დინამოს“ გამარჯვებები და საერთაშორისო ასპარეზზე უგრეხელიძეების, მინაშვილების, საკანდელიძეებისა და ქორქიების გამოსვლა უხვეჭს. აბა, ისე, ალალად რომ თქვას კაცმა, მართლაცდა რა აზრი აქვს სხვადასხვა მცირე შეჯიბრებების მოგებას, საერთოდ რა აზრი აქვს ათობით მოზარდთა გუნდის არსებობას, თუ ამ გუნდებიდან „დინამოში“ ერთი კალათბურთელიც ვერ მოხვდება.

დღეს თბილისის „დინამოში“ დიდი მწვრთნელისა და უსაყვარლესი ადამიანის, აწ გარდაცვლილი სულიკო თორთლაძის სამი აღზრდილი თამაშობს. ბევრი ხომ არ არის ერთი კაცისთვის და ძალზე ცოტა დანარჩენებისთვის?

და როცა ხვალინდელ დღეზე ვფიქრობთ, როცა ამავე დროს სპეციალისტიც ხარ და მწვრთნელიც გქვია, არ შეიძლება ეს ნათელი მაგალითი თვალწინ არ გიდგას და შენი შრომისა და მოღვაწეობის გზასავალს არ გინათებდეს. სხვაგვარად დღევანდელ, თუნდაც ვარდისფერ იმედებს მაინცდამაინც დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია.

ირაკლი გერიაშვილი.

(იხ. მე-4 გვ.).



მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

გუშინ...

მოსკოვში გაიმართა კარპოვ — კასპაროვის მატჩის ოცდა[illegible] პარტია. იგი ყაიმით დასრულდა. ანგარიში კვლავ 5:0-ია ([illegible]) მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.



ევროპის საკლუბო ტურნირები

„სპარტაკის“ ძნელი გამარჯვება

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა უეფა-ს თასის პირველი მერვედფინალური მატჩი მოსკოვის „სპარტაკისა“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „კიოლნის“ ფეხბურთელთა შორის.

ევროპის საკლუბო თასის გათამაშების ფორმულა ყველამ კარგად ვიცით, წარმატება აქ 2 მატჩის ჯამის შედეგს მოაქვს, ამიტომ, შეიძლება ითქვას, მოსკოვის „სპარტაკი“ მეორე მატჩის წინ მეტად რთული ამოცანის წინაშე იმყოფება. მან მთელი თავისი შესაძლებლობით უნდა ითამაშოს, რომ მეორე მატჩში, რომელიც კიოლნში გაიმართება 12 დეკემბერს, განამტკიცოს თბილისში მოპოვებული ძნელი გამარჯვება.

არადა, სპარტაკელებს გუშინ სულ ცოტა 3-4 რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ დიდი ანგარიშით გაემარჯვათ (პოზდნიაკოვი, გავრილოვი, შავლო, მოროზოვი, კვლავ გავრილოვი), მაგრამ გუნდი დასჯერდა პოზდნიაკოვის მიერ 35-ე წუთზე გატანილ ერთადერთ გოლს — 1:0.

საქართველოს სპორტკომიტეტში

მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადაში რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წარმატებაში შეტანილი წვლილისთვის, დებულების მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს სპორტკომიტეტმა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა **კრივში:** ზაურ გვაჯავას — საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელს, ზურაბ გუნიას — მოსწავლეთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს, იაკობ რაგიმოვს — „ბურევესტნიკის“ ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპორტული სკოლის მწვრთნელს (სამივე—თბილისი); **თავისუფალ ჭიდაობაში:** თამაზ ბენდიაშვილს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უფროს მწვრთნელს (თბილისი), ავთანდილ გურგენიძეს — ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მწვრთნელს (მაიაკოვსკი), ამირან მაისურაძეს — სპორტსაზოგადოება „დინამოს“ მწვრთნელს (სოხუმი), გოდერძი ფასურიშვილს— განათლების სამმართველოს სპეციალიზებული სპორტული სკოლის მწვრთნელს (თბილისი), გიგლა ხარებავას — სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ მწვრთნელს (გაგრა); **ძიუდოში:** მერაბ ბროძელს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მწვრთნელ-მეთოდისტს (თბილისი), ბიჭიკო მარიდაშვილს — სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ მწვრთნელს (საგარეჯო), ოთარ ნატროშვილს — განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მწვრთნელს (თბილისი); **კლასიკურ ჭიდაობაში:** იოსებ ბერიშვილს — საქართველოს სპორტკომიტეტის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის უფროს მწვრთნელს (თბილისი, „სპარტაკი“), იოსებ მელქაძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უფროს მწვრთნელს (თბილისი); **სპორტულ ტანვარჯიშში:** ვახტანგ სალუქვაძეს — არმიის სპორტული კლუბის მწვრთნელს (თბილისი); **ჩოგბურთში:** ვლადიმერ გოგლიძეს — უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლის მწვრთნელს (თბილისი), თეიმურაზ კაკულიას — განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორს და ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს (თბილისი), გრანტ მუსაელიანს—იმავე სკოლის მწვრთნელს (თბილისი); **ჭადრაკში:** ალექსანდრე ბოკუჩავას — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მწვრთნელს (თბილისი); სულიკო მეგრელიშვილს— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უფროს მწვრთნელს (თბილისი).

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებში

ჯემალ ბაკურიძე

კლასიკური ჭიდაობა



**დაიბადა 1965 წელს ბათუმში.
წონა 74 კგ, სიმაღლე 172 სმ.
სპორტის ოსტატი,
სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წევრი.
საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი.
მწვრთნელები — ანზორ გოგიაშვილი და გურამ დათიაშვილი.
სპორტში ვარჯიში დაიწყო 1977 წელს.
საქართველოს ორგზის ჩემპიონი ჭაბუკებში, იუნიორთა ორ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი, საქართველოს 1984 წლის მოზრდილთა ჩემპიონატში გამარჯვებული, საბჭოთა კავშირის 1984 წლის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის.**

ჯერ რესპუბლიკური, შემდეგ საკავშირო...

ჯემალ ბაკურიძე აქამდე სტაბილური შედეგებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ წლეულს ზედიზედ ორ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე ისახელა თავი. ნოემბრის პირველ რიცხვებში საქართველოს მოზრდილთა ჩემპიონატში გაიმარჯვა, ორიოდე დღის წინ კი — საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ პირველობაში. ამ ასპარეზობას ქალაქმა ბრეჟნევმა უმასპინძლა. მონაწილეთა შორის ჩვენი რესპუბლიკის შვიდი წარმომადგენელი იყო (ცალკეული რესპუბლიკების მონაწილეთა რაოდენობა, დებულების თანახმად, შარშანდელი შედეგების მიხედვით განისაზღვრა). არაოფიციალურ ჩათვლაში ჩვენმა ნაკრებმა V ადგილი დაიკავა, თუმცა უნდა ითქვას, რომ გუნდს აკლდა ორი ლიდერი — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ზაურ ივანაშვილი და გურამ გედეხაური. ეს სპორტსმენები საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადებიან.

ქართველმა მოჭიდავეებმა სულ ორი მედალი მოიპოვეს ბრეჟნევში. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა მხოლოდ ჯემალ ბაკურიძემ შეძლო, მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის კი მესამე ადგილზე ქუთაისელი მათე სვანიძე გავიდა.

...ჯემალ ბაკურიძე მამამ მიიყვანა კლასიკური ჭიდაობის სექციაში. ბათუმში ორი წელიწადი ივარჯიშა, შემდეგ კი, როგორც პერსპექტიული მოჭიდავე, გლდანის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატში გადმოიყვანეს. აქ ჯერ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ მაისურაძე ავარჯიშებდა, შემდეგ გურამ დათიაშვილთან გააგრძელა მეცადინეობა. კარგი მონაცემების სპორტსმენია, შრომისმოყვარე, თავმდაბალი — აი, როგორ ახასიათებენ სპეციალისტები ახალგაზრდა ჩემპიონს.

სპორტის უჩინარი მსახურნი

მერნების მესაიდუმლე

გამარჯვებულ მხედარს ასპარეზობის წარმატებით დამთავრებას ულოცავენ და სიჩაუქეს უწონებენ. ცხენს აქეთ-იქიდან ჩემპიონი და შუა ხანს მიტანებული მამაკაცი ამოსდგომიან. ეს კაცი ცხენების მომვლელია — ვლადიმერ ქარქუზაშვილი, ძია ვალიკო — მოზარდი ცხენოსნები ასე მიმართავენ მას.

— ერთხელ უბანში ხმა დაირხა, საბურთალოზე საცხენოსნო ბაზა გახსნესო. ცნობისმოყვარე ბიჭებმა უმალვე მივაკითხეთ ამ ბაზას. მაშინ საბურთალოს იპოდრომი არ იყო და, ცხადია, არც ამდენი სასწავლო ჯგუფი იქნებოდა, — იგონებს ვალიკო ქარქუზაშვილი.

ისე შეუყვარდა ცხენი, 1950 წლიდან მომვლელად დაიწყო მუშაობა. იმ დღიდან მოყოლებული სულ ცხენებთანაა. მერნებს, რომლებსაც იგი უვლიდა, ამ ხნის მანძილზე არაერთხელ გაუმარჯვნიათ რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. ახლაც სითბოთი და სიყვარულით იგონებს ტიპჩაკს და მაიბუტნს — ბედაურებს, რომლებსაც ქართველი ცხენოსნები არაერთხელ გაუხარებიათ.

— მაიბუტნი ჩემთან ერთად ბერდება, — ეღიმება ძია ვალიკოს, — ეს ცხენი საოცარი ბუნებისაა, ისე შემეჩვია, როცა სასეირნოდ გამყავს, ავშარსაც აღარ ვუკეთებ. უკვე 22 წლისაა, ყველაზე ხნიერია საჯინიბოში. სავარჯიშოდ აღარ გაჰყავთ და ჩვენც მეტი რა დაგვრჩენია, ხშირად ერთად გავდივართ სასეირნოდ.

● **ცხენის გონიერებაზე, მის სათნოებაზე ბევრი გვსმენია, იქნებ თქვენც გაიხსენოთ რამე?**

— წმინდასისხლის ანუ, როგორც ხშირად უწოდებენ, სპორტული მერნები მართლაც ძალზე მგრძნობიარენი არიან. ზოგჯერ პირვეულობენ, თუ რამე აწყენინე, იბუტებიან კიდეც. მახსოვს, შვრიას რომ ვაძლევდი ერთ-ერთ ცხენს დავუყვირე. იწყინა, მაგრამ როგორ, საჭმელს პირი აღარ დააკარა და კუთხეში დადგა. მივხვდი ჩემს შეცდომას, მივედი, მოვეფერე, ერთი სიტყვით, ბოდიში მოვიხადე უტაქტობისათვის და შემირიგდა — გულღრძო სრ ყოფილა, მაშინვე დაიწყო შვრიის ჭამა.

● **თქვენ ძალიან „გაშინაურებული“ გყავთ მოსწავლე-მხედრები...**

— საცხენოსნო სპორტში ბავშვები, პირველ ყოვლისა, ცხენის სიყვარულით მოდიან. მეც ვცდილობ ეს სიყვარული გავუძლიერო მათ. ვეუბნები კარგად მოვლილი ცხენი არასოდეს გიმტყუნებთ-მეთქი და ისინიც ზრუნვას არ აკლებენ ბედაურებს. ასე უკეთ ეჩვევიან ერთმანეთს მხედარი და მერანი. ახალბედებს ცხენის შეკაზმვაში ვეხმარები, გამოცდილ სპორტსმენს კი ცხენს ისე როგორ გავატან საასპარეზოდ, თავით ფეხამდე თუ არ ბზინავს...

● **ბევრჯერ გამიგონია ბიჭებისაგან — ძია ვალიკოს ბედნიერი ხელი აქვს, ცხენი, რომელსაც შეჯიბრების წინ ის მოუვლის მოსართავებს, უთუოდ საპრიზო ადგილზე გავაო.**

— აბა რა ვიცი. ნეტა მართლა ასე იყოს და მზად ვარ ყველა შეჯიბრებაზე, ყველა მხედარს მე მოვემსახურო.

საჯინიბოს ბოლოში ცხენმა დაიჭიხვინა. ეს მაიბუტნია, — თქვა ძია ვალიკომ და საათს დახედა, — ხომ ხედავთ, რა გონიერია, ჩემმა ძველმა მეგობარმა შვრიის დარიგების დრო შემახსენა... და მეჯინიბე ჩვეული ფუსფუსით შეუდგა საქმეს, რომელსაც აგერ უკვე 35 წელიწადია სიყვარულით ემსახურება.

ბაქარ გაჩეჩილაძე,
სპორტის ოსტატობის კანდიდატი.



ს უ რ ა თ ზ ე: ვლადიმერ ქარქუზაშვილი მრავალ ასპარეზობაში გამარჯვებულ თბილისის საცხენოსნო ბაზის მერან რეზისტონთან ერთად.

ავტორის ფოტო.

შვიდიდან ოთხმოცდაოთხამდე

გადახედეთ მძლეოსანთა საქალაქო თუ რესპუბლიკური შეჯიბრებების კალენდარს. ასპარეზობები, როგორც წესი, დახურულ დარბაზში იწყება, ამას ორიოდე საგაზაფხულო კროსი მოსდევს. შემდეგ კი, საშემოდგომო პროფკავშირულ კროსამდე კვლავ მძლეოსნური პაექრობები იმართება. ეს არის და ეს. კალენდარში ვერ ნახავთ ისეთ საინტერესო და სასარგებლო სპორტულ ღონისძიებას, როგორიცაა მძლეოსნური გარბენი.

მძლეოსნური გარბენები ძირითადად გზატკეცილზე ტარდება. დისტანციის სიგრძე 5-დან 30-მდე კილომეტრის ფარგლებში დგინდება. შეჯიბრებაში ყველა ასაკისა და ყველა სახეობაში მოასპარეზე სპორტსმენებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. მაგალითად, 15 კილომეტრიანი და უფრო გრძელი დისტანციის სტარტზე გამოსულან მუჰამედ ალი, კევინ კიგანი და სხვა საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენები, თუმცა მსგავსი შეჯიბრება მაინც მძლეოსანთა, კერძოდ სტაიერთა შეჯიბრებაა. ისინი მოსამზადებელ პერიოდში ტარდება და ხელს უწყობს მძლეოსნებს კარგად მომზადებულნი შეხვდნენ სპორტულ სეზონს.

მძლეოსნური გარბენები პოპულარობით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაშიც. ცნობილია პუშკინო-ლენინგრადის, იური გაგარინის სახელობის 20 კილომეტრიანი გარბენი, საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „ტრუდის“ პრიზზე (30 კმ) და სხვა. იმართება ბევრი რესპუბლიკური ასპარეზობაც. მაგალითად, ლიტველი სტაიერები ოცჯერ და მეტჯერ გამოდიან სხვადასხვა სიგრძის დისტანციის სტარტზე, მაგალითად, თრაკაი-ვილნიუსის გზატკეცილზე. მძლეოსნური გარბენის ჩატარების ერთადერთ სიძნელეს შესაფერისი ტრასის შერჩევა და უსაფრთხოების დაცვა ქმნის. სწორედ ამის გამო არიდებენ თავს ჩვენი სპორტული ორგანიზაციები მის ჩატარებას, მიზეზად აი, რას ასახელებნ — საავტომობილო მაგისტრალები ისეა გადატვირთული, ფათერაკისაგან არავინ არ არის დაზღვეული; გზის გადაკეტვა კი შეუძლებელიაო.

საქართველოს სპორტკომიტეტის მძლეოსნობის განყოფილებამ რუსთავის, ახლოს, რესპუბლიკური დოსააფის ტერიტორიაზე ორჯერ ჩაატარა „საგზატკეცილო“ შეჯიბრება. სპორტსმენები ხალისით გამოვიდნენ სტარტზე, მაგრამ ასპარეზობა უმაყურებლოდ ჩატარდა — აბა გარბენის სანახავად იმ სიშორეზე ვინ წავიდოდა? უმაღლესი სპორტული ოსტატების რესპუბლიკური სკოლის თაოსნობით ორჯერ გაიმართა მარათონი თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მაგრამ მაშინ სპორტსმენებს მხოლოდ ტროტუარი დაუთმეს, რამაც ისედაც ძნელი დისტანციის გარბენა კიდევ უფრო გააძნელა.

და აი, მისაბაძი ინიციატივა გამოიჩინეს საბურთალოს რაიონის პარტიული, საბჭოთა და ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. მათ გადაწყვიტეს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად მძლეოსნური გარბენი მცხეთა—თბილისი ჩაეტარებინათ. ამგვარი შეჯიბრების მოსაწყობად კაცი საქართველოს სამხედრო გზის ამ მონაკვეთზე უკეთეს ადგილს ვერ ინატრებს. საამისოდ გზის პროფილიც ზედგამოჭრილია და მდებარეობაც, აქ გამართულ ასპარეზობას მაყურებელი — შემთხვევით თუ საგანგებოდ მისულიც, ყოველთვის ეყოლება, მაგრამ ეს გზა ჩვენს ერთ-ერთ მთავარ საავტომობილო არტერიას წარმოადგენს და ამ შეჯიბრების ჩატარებას კარგი ორგანიზაცია სჭირდება.

პარტიის საბურთალოს რაიკომის პირველი მდივნის ილია ხუციშვილის მეცადინეობით ყველა ორგანიზაციული საკითხი მოგვარდა და 24 ნოემბერს მცხეთაში ორმოცამდე სხვადასხვა ასაკის მორბენალი დადგა 20-კილომეტრიანი დისტანციის სტარტზე. ნორჩ სპორტსმენებს 5 და 10-კილომეტრიანი მონაკვეთი უნდა გაერბინათ. მცხეთის რაიონის ხელმძღვანელების მითითებით ორგანიზატორებს დახმარება გაუწიეს ადგილობრივი ავტოინსპექციის მუშაკებმა, სპორტსმენებს კი საზეიმო გაცილება მოუწყვეს № 1 საშუალო სკოლის პიონერებმა. დისტანციაზე მათ მოაცილებდა სახელმწიფო ავტოინსპექციის ჯგუფი ვანო ლომიძის ხელმძღვანელობით.

შეჯიბრება ყველაზე ადრე ია აფხაძემ დაამთავრა. მან გაიმარჯვა 5 კილომეტრიან დისტანციაზე. ათ კილომეტრზე ყველას აჯობა 123-ე სკოლის მოსწავლემ ზვიად თიგიშვილმა, გამოცდილ სპორტსმენთა შორის კი ყველაზე სწრაფი არმიელი სპორტის ოსტატი, იური ციგულიოვი აღმოჩნდა, რომელმაც 20 კილომეტრის გარბენს 1:06.35 მოანდომა. მას 8 წამით ჩამორჩა შალვა ნადირაძე (1:06.43).

გაგარინის ქუჩის დასაწყისში მოწყობილ ფინიშთან გარბენის მონაწილეებს 123-ე სკოლის პიონერები შეეგებნენ, ხოლო გამარჯვებულებს ჯილდოები ომის ვეტერანებმა გადასცეს. აღსანიშნავია, რომ ყველაზე უმცროსი მონაწილისთვის განკუთვნილი პრიზი 7 წლის გიორგი ჩიგოვაძეს ერგო, ხოლო ყველაზე უფროსისთვის დაწესებული — 84 წლის დავით ივანიშვილს. შეჯიბრების ორგანიზაციაში აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიის საბურთალოს რაიკომის მდივანი შოთა დოლონაძე, მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გივი რუხაძე, ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხერხეულიძე.

საბურთალოს რაიონის ხელმძღვანელებს მსგავსი შეჯიბრების ჩატარების გამოცდილება არა ჰქონიათ და შესაძლოა ზოგიერთი წვრილმანი ამის გამო ვერ გაითვალისწინეს, მაგრამ ასპარეზობამ გვიჩვენა, რომ თუ მცხეთასა და თბილისს შორის გარბენი ტრადიციულ შეჯიბრებად იქცევა, ყოველთვის ერთსა და იმავე დროს, თანაც უფრო მაღალ დონეზე, უფრო მომზადებულად ჩატარდება. და რესპუბლიკური შეჯიბრებების კალენდარშიც დაიჭერს ადგილს, მაშინ სპორტსმენები საგანგებოდ მოემზადებიან საასპარეზოდ და შეჯიბრებაც უფრო მასობრივი, საინტერესო გახდება.

გიორგი ჩოჩიშვილი.

ს უ რ ა თ ზ ე: სტარტი აიღეს შეჯიბრების მონაწილეებმა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

92
692
55
21
609

დიდი ფეხბურთის ჯილდოები

დამთავრდა საბჭოთა კავშირის 47-ე ჩემპიონატი ფეხბურთში. როგორც ყოველ წელს, ახლაც გამოვლინდნენ დიდი ფეხბურთის პრიზების მფლობელნი.

ქვეყნის ახალმა ჩემპიონმა — **ლენინგრადის „ზენიტმა“** ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა განვლილ გათამაშებაში (60 ბურთი 34 მატჩში), კლუბი მიიღებს ყველაზე შედეგიანი გუნდისთვის საბჭოთა არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის მიერ დაწესებულ გ. ფედოტოვის სახელობის პრიზს.

ლენინგრადის „ზენიტი“ მიიღებს „დიდი ანგარიშით“ ყველაზე მეტი მატჩის მოგებისთვის დაწესებულ ჯილდოსაც. 6 მოგება 3 და მეტი ბურთის სხვაობით. ზენიტელებს გადაეცემათ, აგრეთვე, გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო სხვაობისთვის დაწესებული ჯილდო.

დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“ პირველი ადგილი დაიკავა დუბლიორთა გათამაშებაში, გარდა ამისა, ამ კლუბს ყველაზე მეტი ქულა აქვს დაგროვილი ძირითად და სათადარიგო შემადგენლობათა ჯამშიც.

ჟურნალ „ოგონიოკის“ რედაქციის პრიზი გადაეცემა სეზონის საუკეთესო მეკარეს, ლენინგრადის „ზენიტის“ 26 წლის ფეხბურთელს **მიხეილ ბირიუკოვს.**

დონის როსტოვის არმიელთა გუნდის თავდამსხმელმა **სერგეი ანდრეევმა** ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა ჩემპიონატში (19), იგი დაჯილდოვდება გაზეთ „ტრუდის“ რედაქციის პრიზით.

ორი ჯილდო დაისაკუთრა **ოდესის „ჩერნომორეცმა“**. ეს გუნდი მიიღებს გაზეთ „სპორტივნაია მოსკვას“ პრიზს „ავტორიტეტთა რისხვა“ და ჟურნალ „ჩელოვეკ ი ზაკონის“ პრიზს სამართლიანი თამაშისთვის.

მოსკოვის სპარტაკელებმა ყველაზე უკეთ ითამაშეს მეტოქეთა მინდვრებზე, მათ გადაეცემათ „აგრესიული სტუმრისთვის“ განკუთვნილი ჯილდო (24 ქულა სტუმრად).

გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ პრიზი „გამარჯვებისადმი სწრაფვისთვის“ წილად ხვდა **როსტოვის არმიელთა** გუნდს.

თბილისის „დინამოს“ კოლექტივმა დაისაკუთრა „პროგრესის თასი“, რომელიც დაწესებულია უკრაინის „რაბოჩაია გაზეტას“ რედაქციის მიერ. ჩვენმა გუნდმა შარშანდელი მე-16 ადგილიდან გადაინაცვლა მე-7 ადგილზე.

თასის წილისყრა

ფეხბურთის ფედერაციის საკავშირო სპორტტექნიკური კომისიის სხდომაზე მოეწყო საბჭოთა კავშირის თასის მომავალი წლის მეოთხედფინალურ შეხვედრათა წილისყრა, რომელმაც გამოავლინა მასპინძელი გუნდები: „შახტიორი“ (დონეცკი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი), „ზენიტი“ (ლენინგრადი) — ცსკა, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „დინამო“ (მინსკი), „დინამო“ (კიევი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა). მატჩები გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე 1985 წლის მაისში.

ბერნში ითამაშებენ

1986 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სსრ კავშირის ნაკრები გასიად 17 აპრილს უნდა შეხვდეს შვეიცარიის გუნდს (VI ჯგუფი).

როგორც შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, ეს მატჩი გაიმართება ბერნში.

სტატისტიკა, სტატისტიკა...

სსრ კავშირის 47-ე საფეხბურთო ჩემპიონატის უმთავრესი მონაცემები

● **1984 წლის** საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩი დონის როსტოვში გაიმართა ადგილობრივ არმიელთა გუნდსა და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს სპარტაკელებმა, მათი მხრივ ბურთები გაიტანეს გავრილოვმა (11-მეტრიანი) და კუზნეცოვმა, ხოლო როსტოველთაგან — შჩერბაკმა. ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობებს არ უთამაშიათ.

● **47-ე** საკავშირო ჩემპიონატმა უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის 8 თვენახევარი გასტანა. ჩატარდა კალენდრით გათვალისწინებული ყველა 306 მატჩი, მასპინძლებმა მოიგეს 156 შეხვედრა, 79 ფრედ დაამთავრეს და 71 წააგეს.

● **სსრ** კავშირის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა როსტოვის არმიელმა ს. ანდრეევმა, რომელმაც 34 შეხვედრაში 19 ბურთი გაიტანა (მათგან 5 — პენალტებით).

მომდევნო ადგილებზე არიან ჰ. მხითარიანი („არარატი“) — 18, ი. ჟელუდკოვი („ზენიტი“), ო. პროტასოვი („დნეპრი“) და ი. ტარასოვი („მეტალისტი“) — 17-17, ა. რედკოუსი („ტორპედო“) —14, ს. როდიონოვი („სპარტაკი“) და ს. სტუკაშოვი („ქაირათი“) —13-13, გ. კონდრატიევი („დინამო“, მინსკი), ე. ფეხლევანიდი („ქაირათი“) — 12-12 და სხვ.

● **ცალკეული** გუნდების საუკეთესო სხვა ბომბარდირებია: „ჩერნომორეცი“ — ი. ბელანოვი (11), თბილისის „დინამო“ — რ. შენგელია (9), „ჟალგირისი“ — ს. ბარანაუსკასი და ს. იაკუბაუსკასი (6-6), კიევის „დინამო“ — ო. ბლოხინი (10), „შახტიორი“ — ვ. გრაჩოვი (8), „ნეფთჩი“ — ი. ჯავადოვი (9), მოსკოვის „დინამო“ — ვ. გაზაევი (8), „ფახთაქორი“ — ი. შკვირინი (9), ცსკა — გ. შტრომბერგერი და ო. ბუროვი (3-3).

● **სსრ** კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატების მთელს ისტორიაში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა კიევის დინამოელმა ოლეგ ბლოხინმა — 193. ალექსანდრე პონომარიოვმა, რომელიც სხვადასხვა გუნდში გამოდიოდა, 152 ბურთი გაიტანა, ნიკიტა სიმონიანმა —144, სერგეი სოლოვიოვმა — 143, გრიგორი ფედოტოვმა — 132, ედუარდ მარქაროვმა — 129, ავთანდილ ღოღობერიძემ — 127, ვალენტინ ივანოვმა — 124, ზაურ კალოევმა— 119, ოლეგ კოპაევმა — 119.

იმ ფეხბურთელთაგან, რომლებიც ახლაც თამაშობენ, ო. ბლოხინის შემდეგ საუკეთესო შედეგი აქვს თბილისის დინამოელს რამაზ შენგელიას — 104. ერევნელმა ხ. ოჰანესიანმა 91 ბურთი გაიტანა, მოსკოვის სპარტაკელმა ი. გავრილოვმა — 83, მოსკოვის დინამოელმა ვ. გაზაევმა — 79 და დონეცკელმა მ. სოკოლოვსკიმ — 78.

● **ფრეთა** ლიმიტი წლეულს 5 კლუბმა ამოწურა (მინსკის „დინამო“, მოსკოვის „ტორპედო“, ვილნიუსის „ჟალგირისი“, კიევის „დინამო“ და მოსკოვის „დინამო“). საინტერესოა, რომ დაწესებული ლიმიტი შარშან 7 გუნდმა ამოწურა, ხოლო შარშანწინ — ცხრამ.

● **ჩემპიონატის** 306 მატჩში 767 ბურთი გავიდა, საშუალო შედეგიანობა ყოველ თამაშში 2,51 გოლს უდრის.

● **18 ბურთი** ფეხბურთელებმა საკუთარ კარში გაიტანეს, 15-ჯერ აღინიშნა „ჰეთ-თრიკი“. თბილისის დინამოელთაგან 3 ბურთი ერთ მატჩში გაიტანა რ. შენგელიამ.

● **47-ე** ჩემპიონატში დაინიშნა 100 პენალტი, რომელთაგან 75 გოლით დამთავრდა, ხოლო 25 — უშედეგოდ. მასპინძლებმა დაარტყეს 71 პენალტი, სტუმრებმა — 29. ყველაზე მეტი 11-მეტრიანი დაინიშნა თბილისის დინამოელთა სასარგებლოდ— 9. 8-8 პენალტი დაარტყეს „მეტალისტისა“ და „არარატის“ ფეხბურთელებმა.

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო, 34-ე ტურის შეხვედრები II ჯგუფის გუნდებს შორის.

აღმოსავლეთი ზონა. „გარეჯი“ (საგარეჯო) — „მესხეთი“ (ახალციხე) 2:1, „მაშავერა“ (დმანისი)— „თრიალეთი“ (წალკა) 1:0, „იბერია“ (ქარელი) — „განთიადი“ (კასპი) 2:2, „ვარძია“ (ასპინძა) — „იმედი“ (რუსთავი) 2:1, „ქართლი“ (გორის რაიონი) — „იორი“ (თიანეთი) 6:2. ჭიათურის „მშენებელს“ გამარჯვება ჩაეთვალა ახმეტის „ბახტრიონთან“, მარნეულის „ალგეთს“ — ახალქალაქის „აბულთან“.

დასავლეთი ზონა. „ნარინჯი“ (ნატანები) — „კოლმეურნე“ (გურჯაანი...)

თბილისის „დინამო“ და სხვანი...

● **ყველაზე** მეტი მაყურებელი განვლილ ჩემპიონატში მოვიდა თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ მატჩზე —75.000. გარდა ამ მატჩისა, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე კიდევ 6-ჯერ იყო სრული ანშლაგი (74.000 და მეტი მაყურებელი თითოეულ თამაშზე).

● **საკუთარ** სტადიონზე ყველაზე მეტი მაყურებელი კვლავ თბილისის „დინამოს“ ჰყავდა — 972.390. მომდევნო ადგილზე 463.860 მაყურებლით იმყოფება ლენინგრადის „ზენიტი“.

მეტოქე გუნდების მინდვრებზე ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავდა კიევის „დინამოს“ (485.550), ხოლო ყველაზე ნაკლები — ტაშკენტის „ფახთაქორს“ (224.500).

მეტოქე გუნდების მინდვრებზე დამსწრე მაყურებელთა საერთო რაოდენობით უმაღლესი ლიგის თითქმის ყველა გუნდმა გაუსწრო თბილისის „დინამოს“, ვინაიდან ისინი თბილისის „დინამოს“ სტადიონზე თითქმის ყოველთვის სავსე აუდიტორიის წინაშე გამოდიოდნენ.

● **ჩემპიონატის** 306 მატჩში მონაწილეობა მიიღო 18 გუნდის 420 ფეხბურთელმა, რომელთაგან 96 უმაღლესი ლიგის დებიუტანტი იყო. თბილისის დინამოელებმა ჩემპიონატში 4 დებიუტანტი გამოიყვანეს (ი. ხიჯინავა, ა. ბალაძე, ჯ. ქორქიანი და მ. მახარაძე), 1936 წლის შემოდგომიდან მოყოლებული თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში საკავშირო ჩემპიონატების კალენდარულ მატჩებში მონაწილეობა მიიღო სულ 222 ფეხბურთელმა.

● **ყველაზე** მეტი ფეხბურთელი (30-30) განვლილი ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებში გამოიყვანეს თბილისის „დინამომ“ და ცსკა-მ, ხოლო ყველაზე ნაკლები (21-21) — „ზენიტმა“, „ტორპედომ“ და „ქაირათმა“.

● **ჩემპიონატის** ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი იყო მოსკოვის „ტორპედოს“ 16 წლის მეკარე დ. ხარინი, ხოლო ყველაზე ხანდაზმული — 38 წლის ბაქოელი მეკარე ს. კრამარენკო.

გათამაშების მატჩებში სულ მონაწილეობა მიიღო 38 მეკარემ. 3-3 მეკარე გამოიყვანეს მინდორზე თბილისის „დინამომ“, „სპარტაკმა“, „ტორპედომ“ და „არარატმა“.

თითო მეკარით დაამთავრეს ჩემპიონატი „ზენიტმა“ (მ. ბირიუკოვი) და „ფახთაქორმა“ (ა. იანოვსკი).

● **ყველაზე** მეტი პროგრესი შარშანდელთან შედარებით განიცადეს თბილისის „დინამომ“, რომელმაც შარშანდელი მე-16 ადგილიდან მეშვიდეზე გადაინაცვლა და „ქაირათმა“, რომელიც წლეულს შემოვიდა უმაღლეს ლიგაში და მე-8 ადგილზე აღმოჩნდა.

● **ლენინგრადის** „ზენიტმა“ დიდი ანგარიშით 6 მატჩი მოიგო, ხოლო „სპარტაკმა“ და კიევის „დინამომ“ — 4-4. პირველი შემთხვევაა, როცა თბილისის დინამოელებმა ვერც ერთი გამარჯვება ვერ მოიპოვეს 3 და მეტი ბურთის სხვაობით.

● **47-ე** ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა 36 გოლი გაიტანეს: რ. შენგელიამ —9, ა. ჩივაძემ — 8, ნ. კაკილაშვილმა — 6, თ. სულაქველიძემ — 4, ვ. გუცაევმა, მ. მესხმა და გ. ჩქარეულმა — 2-2, გ. კეტაშვილმა, გ. ცაავამ და ი. ჟორჟიკაშვილმა — თითო.

● **თბილისის** „დინამოს“ სასარგებლოდ დანიშნული 9 პენალტიდან რ. შენგელიამ სეზონის პირველ მატჩში „ფახთაქორთან“ ვერ შეძლო კარის აღება (ბურთი აიღო მეკარე ა. იანოვსკიმ). დანარჩენი 8 პენალტი დინამოელთა კაპიტნის ა. ჩივაძის შესრულებით შედეგიანი გამოდგა, თუმცა მან თბილისში, დონეცკის „შახტიორთან“ შეხვედრაში პირველად არაზუსტად დაარტყა, მაგრამ მიუსწრო მეკარე ვ. ელინსკასის მიერ მოგერიებულ ბურთს და გოლი მაინც გაიტანა.

● **უმაღლესი** ლიგის გუნდების 36 მატჩს მთავარ მსაჯად მომსახურეობა გაუწია 30 არბიტრმა. 16-16 მატჩი ჩაატარეს მინსკელმა ვ. ჟუკმა, ომსკელმა ვ. კუზნეცოვმა, მოსკოველებმა ვ. ბუტენკომ და ა. სპირინმა. სოხუმელმა ა. მილჩენკომ 14 მატჩი ჩაატარა, ხოლო თბილისელმა ვ. მიმინოშვილმა—12.

თბილისის „დინამოს“ მატჩები ყველაზე მეტჯერ იმსაჯა მოსკოველმა ა. მუშკოვეცმა.

● **მსაჯებმა** მინდვრიდან გააძევეს 12 ფეხბურთელი, ხოლო 252-ს ყვითელი ბარათი აჩვენეს. ყველაზე მეტი გაფრთხილება დაიმსახურეს ცსკა-ს ფეხბურთელებმა —25,

ნიკო ცერცვაძე.

ფეხბურთის სტატისტიკოსი.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

უმაღლესი ლიგა

საბოლოო მდგომარეობა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
1. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	34	19	9	6	60-32	47	(—21)
2. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	34	18	9	7	58-29	45	(—23)
3. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	34	17	8	9	54-40	42	(—26)
4. „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	34	16	9	9	49-38	41	(—27)
5. „დინამო“ (მინსკი)	34	15	13	6	43-28	40	(—28)
6. „ტორპედო“ (მოსკოვი)	34	15	10	9	43-36	40	(—28)
7. „დინამო“ (თბილისი)	34	14	8	12	36-41	36	(—32)
8. „ქაირათი“ (ალმა-ათა)	34	13	8	13	44-42	34	(—34)
9. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	34	12	11	11	30-38	34	(—34)
10. „დინამო“ (კიევი)	34	12	13	9	46-30	34	(—34)
11. „არარატი“ (ერევანი)	34	12	7	15	46-50	31	(—37)
12. „მეტალისტი“ (ხარკოვი)	34	12	5	17	42-53	29	(—39)
13. „შახტიორი“ (დონეცკი)	34	10	9	15	47-46	29	(—39)
14. სკა (დონის როსტოვი)	34	10	7	17	48-58	27	(—41)
15. „ნეფთჩი“ (ბაქო)	34	9	8	17	30-50	26	(—42)
16. „დინამო“ (მოსკოვი)	34	8	10	16	35-43	26	(—42)
17. „ფახთაქორი“ (ტაშკენტი)	34	10	5	19	37-58	25	(—43)
18. ცსკა	34	5	9	20	24-55	19	(—49)

დასავლეთი ზონა. „ნარინჯი“ (ნატანები) — „კოლმეურნე“ (გულრიფში) 2:0, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „ნაპერწკალი“ (ოქუმი) 3:2, „ნარუჯა“ (მახარაძე) — „ხვამლი“ (ცაგერი) 3:2, „ავტომობილისტი“ (აბაშა) — სუბტროპიკული ინსტიტუტი (სოხუმი) 2:2, „იმერეთი“ (ქუთაისი) — „სენაკი“ (ცხაკაია) 3:3, „კოლხეთმშენი“ (ფოთი) — „რაჭა“ (ამბროლაური) 6:3. ტყვარჩელის „მეშახტეს“ გამარჯვება ჩაეთვალა ბათუმის „თოლიასთან“, ზედა ეწერის „ოდიშს“ — გონიოს „ნარინჯთან“, ქობულეთის „მუქურას“ — ტყიბულის „კოლმეურნესთან“.

1 დეკემბერს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება მატჩი II ჯგუფის აღმოსავლეთი ზონის გამარჯვებულის გამოსავლენად. ერთმანეთს შეხვდებიან „ალგეთი“ (მარნეული) — „ქართლი“ (გორის რაიონი).

„ლივერპულის“ გადამწყვეტი მატჩები

ინგლისის ცნობილ საფეხბურთო კლუბს „ლივერპულს“ ორი მეტად საპასუხისმგებლო მატჩი ელის. საკონტინენტთაშორისო თასის მოსაპოვებლად ინგლისელები უნდა შეხვდნენ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონს — არგენტინის „ინდეპენდიენტეს“. დადგინდა, რომ ეს მატჩი 9 დეკემბერს გაიმართება ტოკიოში.

გარდა ამისა, „ლივერპულმა“, როგორც ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელმა, წლეულსვე სუპერთასის მატჩი უნდა ჩაატაროს თასების მფლობელთა თასისთვის მებრძოლებთან გამარჯვებულ იტალიის „იუვენტუსთან“. ამ გუნდების წარმომადგენლები ახლა უნდა შეთანხმდნენ მომავალი მატჩის ჩატარების ადგილისა და თარიღის თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააჩნია, ვის რა მიზანი აქვს

თბილისი. სპორტის სასახლე. 27 ნოემბერი.

„სტატიბა“ (ვილნიუსი) — „უნივერსიტეტი“ (ტაშკენტი) 102:82 (47:39).

„სტატიბა“: მატკიავიჩიუსი (24), მარჩიულენისი (19), ანდრიუნასი (17), ჟიგასი (17), ვაინაუსკასი (14), ვილკასი (4), პენიკასი (3), ბალოჩკა (2), კაჩინსკისი (2).

„უნივერსიტეტი“: აბელიანოვი (25), სუხარევი (19), შიშკოვი (10), ბუზლიაკოვი (9), ნაზაროვი (9), ლევინი (5), ფილიუშკინი (5), ფრენკელი, ვილმელმი.

მსაჯები: მურმან ქურიძე (თბილისი), მიხეილ ვაინკოპი (მოსკოვი).

დუბლიორები — 81:78 (49:47).

* * *

თბილისი. სპორტის სასახლე. 27 ნოემბერი.

ცსკა — „სპარტაკი“ (ვლადივოსტოკი) 99:86 (48:46).

ცსკა: ტკაჩენკო (18), ტარაკანოვი (17), ლოპატოვი (14), გუსევი (14), კუზმინი (10), ენდენი (9), ტიხონენკო (9), ერმოლინსკი (4), პანკრაშკინი (4).

„სპარტაკი“: მედვედევი (19), ბუროვი (16), პოლოვიანოვი (12), კრილოვი (12), გონჩაროვი (12), პავლენკო (9), აგეევი (4), კულიგინი (2).

მსაჯები: ბორის ცარიკოვი (გომელი), გაიოზ ოხიაშვილი (თბილისი).

დუბლიორები — 93:74 (47:34).

საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის სტარტზე გუნდებს კონკრეტული მიზანი გაუჩნდათ — როგორმე დაიჭირონ ადგილი ფინალისტთა ტურნირში. ეს მიზანი მათ ადრეც ჰქონდათ დასახული, მაგრამ ახლა, როცა ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, უფრო ნათლად გამოიკვეთა პრეტენდენტთა შესაძლებლობანი.

წინა ტურში დაშვებულ „შეცდომებს“ ასწორებენ თბილისის „დინამო“ და ვილნიუსის „სტატიბა“. ლიტველებმა საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონთან სენსაციური გამარჯვების შემდეგ (მხედველობაში გვყავს ცსკა) აღმავლობით ჩაატარეს მატჩი ტაშკენტის „უნივერსიტეტთანაც“ და დამაჯერებელი რევანში აიღეს (პირველ წრეში, როგორც ცნობილია, „უნივერსიტეტმა“ გამარჯვება ანგარიშით 78:74). „სტატიბა“ მთელი შეხვედრის მანძილზე წინ იყო. ასე რომ, ტაშკენტის კალათბურთელებს გულდასაწყვეტი არაფერი აქვთ.

მოსკოვის არმიელები კვლავ ინარჩუნებენ ლიდერობას თბილისის ჯგუფში, მაგრამ სხვაობა უახლოეს მდევართან უკვე 4 ქულამდე შემცირდა. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა და ჩვენი კალათბურთის აღიარებულმა ლიდერმა რაღაც ერთბაშად დაკარგა თავისი ძალის რწმენა და შეხვედრებს უფერულად ატარებს.

ვლადივოსტოკის სპარტაკელებთან მატჩის პირველ ნახევარში საერთოდ ვერც იტყოდით, ვინ იყო ლიდერი და ვინ — აუტსაიდერი. 20 წუთის მანძილზე მიმდინარეობდა უაღრესად დაძაბული და თანაბარი ბრძოლა. მერე, რა თქმა უნდა, გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა და ცსკა-ც ათამაშდა. მაგრამ სასურველი შთაბეჭდილება, ცხადია, ვერც ამ გამარჯვებამ დატოვა.

და მაინც ჩემპიონი ჩემპიონია — მისი სათვალავიდან ამოღება, რა თქმა უნდა, შეცდომა იქნება. მით უფრო, რომ ქულები ახლა ყველა გუნდს ერთნაირად სჭირდება. ოღონდ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გააჩნია, ვინ რა ამოცანას ისახავს მიზნად. ცსკა-ს, მაგალითად, ქულები სჭირდება იმისათვის, რომ ფინალურ ტურნირში თავისი მაღალი ტიტულის შესანარჩუნებლად იბრძოლოს, სხვებს იმისათვის, რომ ადგილი დაიმკვიდროს რვა უძლიერეს გუნდს შორის.



საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

რევანშების დღე

რიგა, 28 ნოემბერი. გუშინ კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატზე რევანშების დღე იყო.

ადგილობრივმა ვეფ-მა, როგორც ჩანს, მთელი ენერგია წინა დღის გამარჯვებას ჩააქსოვა (კაუნასის „ჟალგირისთან“) და კიევის „სტროიტელთან“ შეხვედრაში დამარცხდა — 83:87. ამ გუნდების პირველი წრის მატჩი რიგელებმა ერთი ქულის უპირატესობით მოიგეს (91:90).

კიევის არმიელთა და მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელთა პირველი წრის შეხვედრაში რტი-მ იმარჯვა (88:62). გუშინ არმიელებმა დაძაბულ ბრძოლაში რევანში აიღეს — 84:83.

კაუნასის „ჟალგირისმა“ დიდი ანგარიშით დაამარცხა მოსკოვის „დინამო“ — 112:83.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
1. „ჟალგირისი“ (კაუნასი)	13	12	1	1354-1109	25
2. ცსკა	**13**	**11**	**2**	**1367-1061**	**24**
3. რტი (მინსკი)	13	8	5	1064-1015	21
4. „სპარტაკი“ (ლენინგრადი)	**13**	**7**	**6**	**1059-1063**	**20**
5. ვეფ-ი (რიგა)	13	7	6	1183-1213	20
6. „სტროიტელი“ (კიევი)	13	6	7	1117-1168	19
7. „დინამო“ (თბილისი)	**13**	**6**	**7**	**1164-1250**	**19**
8. ასკ (კიევი)	13	6	7	1093-1205	19
9. „სტატიბა“ (ვილნიუსი)	**13**	**5**	**8**	**1145-1208**	**18**
10. „უნივერსიტეტი“ (ტაშკენტი)	**13**	**5**	**8**	**1106-1163**	**18**
11. „სპარტაკი“ (ვლადივოსტოკი)	**13**	**3**	**10**	**1127-1224**	**16**
12. „დინამო“ (მოსკოვი)	13	2	11	1160-1265	15

შენიშვნა: შავი შრიფტით გამოყოფილია თბილისის ტურში მონაწილე გუნდები.

ჩვენი მეტოქეები

ვილნიუსის „სტატიბა“

„**სტატიბა**“ უმაღლეს ლიგაში გამოდის 1961 წლიდან. აქედან იწყება ამ გუნდების შეხვედრათა ისტორია. 22 მატჩიდან 11 მოიგო „დინამომ“, 11 — „სტატიბამ“.

1974-75 წლის სეზონში თბილისის „დინამომ“ ბრწყინვალე სტარტი აიღო — 10 მატჩში 9 გამარჯვება. შემდეგი ტურის მატჩი თბილისელებმა 14-15 დეკემბერს გამართეს „სტატიბასთან“, რომელიც აუტსაიდერთა შორის იმყოფებოდა. პირველ მატჩში, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისელებმა საკალათბურთო ხელოვნების ყველა ასპექტში დაჯაბნეს მეტოქე და ოცდაათ ქულაზე მეტი სხვაობით გაიმარჯვეს. მეორე დღეს თბილისელები მოედანზე, ჩანს, ზედმეტად თვითდაჯერებულნი გამოვიდნენ და შესაძლოა ამიტომაც გაუჭირდათ აუტსაიდერთან ბრძოლა. შეხვედრის დამთავრებამდე სამი წამით ადრე ანგარიშით 92:91 წინ სტუმრები იყვნენ. დროის ამ მცირე მონაკვეთში დინამოელთა კაპიტანმა მიხეილ ქორქიამ ზუსტი ტყორცნით გაზარდა ანგარიში — 93:92. ამდაგვარი სურათი გამეორდა ერთი წლის შემდეგ, 1975 წლის დეკემბერში, ვილნიუსის ტურის დროს — მატჩის უკანასკნელ წამს ვილნიუსელებმა გამოსტაცეს გამარჯვება თბილისელებს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი მატჩი ვილნიუსელებმა „დინამოს“ ზედიზედ მოუგეს.

ვლადივოსტოკის „სპარტაკი“

ვლადივოსტოკის „სპარტაკმა“ უმაღლეს ლიგაში პირველად 1976-77 წლების სეზონში ითამაშა. იმ წელს ორივე მატჩი თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა. შემდგომ წლებში ვლადივოსტოკის „სპარტაკის“ ადგილი უმაღლეს ლიგაში დაიკავა ჩელიაბინსკის „ლოკომოტივმა“, რომელიც თბილისელებმა რამდენჯერმე დაამარცხეს. წლეულს „სპარტაკი“ კვლავ დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას. მის თამაშში გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა. პირველი წრის შედეგებით გუნდის ხელმძღვანელობა, ვფიქრობთ, კმაყოფილი უნდა იყოს. „სპარტაკს“ 11 თამაშში 3 გამარჯვება აქვს მოპოვებული და სატურნირო ცხრილში მე-10 ადგილი უჭირავს. განსაკუთრებით პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა გამარჯვებებს უშუალო კონკურენტებთან „სტატიბასთან“ (ვლადივოსტოკში) და მოსკოვის „დინამოსთან“ (მინსკში). ვლადივოსტოკის „სპარტაკთან“ თბილისის „დინამოს“ ბალანსი ასე გამოიყურება — ოთხი შეხვედრა, ოთხი გამარჯვება.

სალონიკის ოლიმპიადაზე

ნონა გაფრინდაშვილის გამარჯვების ქულა

ერთდღიანი დასვენების შემდეგ, 27 ნოემბერს, დილით, საბერძნეთის ქალაქ სალონიკში განახლდა საჭადრაკო ოლიმპიადა. მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად. ყურადღების ცენტრში იყო ნონა გაფრინდაშვილის პარტია უნგრელ მარია ივანკასთან. მსოფლიოს ექსჩემპიონმა ჩინებულად წარმართა თამაში ზედმეტპაიკიან ენდშპილში და გაიმარჯვა. ამრიგად, სსრ კავშირ — უნგრეთის მატჩი ჩვენებმა მოიგეს — 2,5:1,5.

დღისით მოეწყო VIII ტური. საბჭოთა მოჭადრაკე ვაჟები შეხვდნენ შვეციის ნაკრებს. ალექსანდრე ბელიავსკი დაუზავდა ულფ ანდერსონს, ლევ პოლუგაევსკი — ლარს კარლსონს და ანდრეი სოკოლოვი — ჰანს შუსლერს. გადაიდო ვლადიმერ ტუკმაკოვისა და აქსელ ორნსტეინის შეხვედრა. საღამოს ორსაათიანი თამაშის შემდეგ პარტია კვლავ გადაიდო. სპეციალისტების აზრით, ყაიმია მოსალოდნელი.

8 ტურის შემდეგ შესამჩნევად დაწინაურდა საბჭოთა გუნდი — 24 ქულა და ერთი გადადებული პარტია. შემდეგ მოდიან: შვეცია — 20,5 (1), უნგრეთი, იუგოსლავია და ინგლისი — 20,5-20,5. საანგარიშო ტურში უნგრელებმა სძლიეს ინგლისელებს— 2,5:1,5.

ამ დღეს საბჭოთა ქალთა ნაკრები შეხვდა გფრ-ის კოლექტივს. ლიდია სემიონოვამ მოიგო, მაგრამ ირინა ლევიტინა დამარცხდა საერთაშორისო ოსტატ გიზელა ფიშდიკთან. გადაიდო მაია ჩიბურდანიძის შეხვედრა დიდოსტატ ბარბარა ხუნდთან. გვიან საღამოს თამაში განახლდა, მაგრამ პარტია ისევ გადაიდო. მსოფლიო ჩემპიონს მცირე პოზიციური უპირატესობა აქვს.

შვეცია—ჩინეთის გუნდების მატჩში თავი გამოიჩინა შვედმა პია კრამლინგმა. ბოლო მომენტში მან მოუგო ლიუ შილანს და თავისი გუნდი წაგებას გადაარჩინა — 1,5:1,5.

მოჭადრაკე ქალთა შეჯიბრებაში ლიდერობენ: სსრ კავშირი — 18 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ბულგარეთი — 16,5 (1), ინდოეთი, რუმინეთი — 14,5-14,5 (2-2), ჩინეთი, იუგოსლავია — 14,5-14,5 (1-1) და ჰოლანდია — 14 (2).

ეკვატორი გადალახეს

ტაშკენტსა და სვერდლოვსკში გრძელდება სსრ კავშირის ვაჟთა 52-ე ჩემპიონატის I ლიგის ტურნირები. ორივე შეჯიბრებამ უკვე გადალახა ეკვატორი. გათამაშდა 9 ტური.

ტაშკენტში ლიდერობს თბილისელი საერთაშორისო ოსტატი ელიზბარ უბილავა — 6 ქულა. მას კვალში მიჰყვებიან გიორგი აგზამოვი (ტაშკენტი), არშაკ პეტროსიანი, სმბატ ლპუტიანი (ორივე — ერევანი) და იური რაზუვაევი (მოსკოვი). თამაზ გიორგაძეს 4,5 ქულა აქვს.

უბილავამ ყაიმით დაამთავრა ბოლო სამი შეხვედრა (პეტროსიანი, ლპუტიანი, აგზამოვი). გიორგაძემ მოუგო ს. სმაგინს და დაუზავდა ა. ვიემანავინს (ორივე — მოსკოვი) და ი. ნოვიკოვს (ხარკოვი).

სვერდლოვსკის ტურნირში ლიდერობს ვიქტორ კუპრეიჩიკი (მინსკი) — 6. 5,5 ქულა აქვს ლევ ფსახისს (კრასნოიარსკი). შვიდმა მონაწილემ 4,5-4,5 ქულა დააგროვა.

ბუხუტი გურგენიძეს 3,5 ქულა აქვს. ბოლო სამ ტურში იგი დაუზავდა ა. ვაისერსა (ნოვოსიბირსკი) და ა. ხარიტონოვს (მოსკოვი), დამარცხდა ა. ჩერნინთან (ხარკოვი).

სათამაშო დარჩა 6-6 ტური.

„ლელოს“ პრიზზე

ლიდერობენ თბილისელები და ხარკოველები



სპორტკლუბ „სინათლის“ დარბაზში გრძელდება ნორჩ კალათბურთელთა (1971 წწ. დაბ.) საკავშირო ტურნირი გაზეთ „ლელოს“ პრიზზე. გუშინ ყველაზე დაძაბული პირველი შეხვედრა გამოდგა. ხარკოველთა გუნდი შესამჩნევად დაწინაურდა თბილისის „ლოკომოტივთან“ მატჩში, მაგრამ მეორე ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა ანგარიშში სხვაობა შეამცირეს და ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან. თამაშის მიწურულს „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი წევრის გადამწყვეტი ტყორცნა არაზუსტი გამოდგა, და საბოლოოდ ხარკოველებმა, რომელთაც ალექსანდრე ბაბუშკინი წვრთნის, ერთი ქულის უპირატესობით გაიმარჯვეს — 45:44. სხვათა შორის, ბაბუშკინი საკავშირო კატეგორიის მსაჯია და აქ, თბილისში დიდი ჯაფა ადგას: გარდა იმისა, რომ თავის გუნდს ხელმძღვანელობს, თავისუფალ დროს ტურნირის მატჩებსაც მსაჯობს, საღამოს კი იგივე ფუნქციას უკვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის შეხვედრებში ასრულებს. „სტატიბა“ — ცსკა-ს მატჩს სწორედ მან უმსაჯა.

ქუთაისის „დინამოსა“ და თბილისის „ნორჩი დინამოელის“ მეორე გუნდის მატჩი უჩვეულოდ დაიწყო. ქუთაისელები დაწინაურდნენ 21:0 (!). შემდეგ მასპინძლებმა ხელი გამოიღეს და მეორე ტაიმის შუაში მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩებოდნენ მეტოქეს — 34:37. საბოლოოდ მაინც ქუთაისელი მწვრთნელის ზაურ ჩარკვიანის აღსაზრდელებმა იმარჯვეს — 42:36.

„ნორჩი დინამოელის“ პირველი გუნდი, რომელსაც ჯამლეტ ხუხაშვილი წვრთნის, მთელი მატჩის მანძილზე სჯობნიდა ბაქოელ თანატოლებს და დამაჯერებლად გაიმარჯვა — 64:48.

ორი ტურის შემდეგ ლიდერობენ თბილისის „ნორჩი დინამოელი“ (1) და ხარკოვის გუნდი. მათ 4-4 ქულა მოაგროვეს.

რედაქტორი ა. გოგელია.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
წერილების განყოფილება — 93-97-55.
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე“ — 93-97-27, [illegible] — 93-97-26

ჩვენი ინდექსი 66438

საქართველოს [illegible] გამომცემლობის სტამბა. 380096, [illegible]
ლენინის ქ. № 14. [illegible]
[illegible] 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. [illegible]